

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დღის 9—3 საათამდე, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დღის.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარავსა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეფ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ელიტა—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტრიტის პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიუღებულ განცხადებებზე ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვანო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა დღის 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორის შეიგება, უნდა გამოგზავნოს კონტორის სახელზე. საქართველოზე განცხადებანი უნდა მოტანილი იქნას არა უგვიანეს 1/2 საათის კონტორაში. კონტორა ღიაა დღის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

უკანასკნელი ცნობები

ბერლინის მდგომარეობა გამოურყვეველია. მომხდარა შეტაკება სპარტაკელთა და მთავრობის ჯარებს შორის. შეტაკება მომხდარა ტუვიისმფრქვევლებით და ყუმბარებით.

ჩეხოსლოვაკები ჰუნგრეთის დაბა-ქალაქებში სახალხო ხმის მიცემას აწყობენ. მცხოვრებლებს ჰუნგრეთის სამეფოში დარჩენა ჰსურთ.

მოკავშირეთა კონფერენცია გაიხსნება პარიზს 10 ქრისტეშობისთვის და იანვრისთვის დასრულდება საბოლოო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა პარიზის ან მისის დასაწყისში მოხდება.

პრეზ. ვილსონი პარიზში ჩავა შემდეგ შაბათს, პარასკევს კი ბრესტში(1) იქნება.

„ნ. ორიზონის“ ცნობით, სტამბოლში დახვრიტეს ვეპიბ-ფაშა და პარლამენტის წევრი ჰუსეინ-ჯანდი. სამართალში მიცემულია ჰალიფ-ფაშა.

ლორდ დამფრთხვებელი მეფულე ბარბარე ირსტების ასული, შვილები შარბა, მიშა და გოგია ჩუტკერაშვილები, დედა გარდაცვალებულისა, სიმამრი მღვდელი იოსებო, მეფულე მისი გვფუსია და შვილები ნადეჟდა, მარიამ, ქრისტეფორე და ირაკლი კაპანაძეები აუწყებენ ნათესავთს, ნაცნობთ და მეგობართს, რომ 6 ქრისტეშობისთვის, საღამოს 8 ს. არაშინაძის სახელობის საავადმყოფოში უდროოდ, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მღვდელი

კონსტანტინე გიორგის კე რუსთაველი.

გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში (ავლაბარში) მოხდება ოთხშაბათს, 11 ქრისტე, დღის 10 საათზე. დაკრძალვა წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავანში ამავე დღეს.

მშობლები: დავით და მარიამ, დამძებნი: ზაქარია, მიხეილ და თამარ, რძლები: ვარვარა და ალექსანდრა ორჯონიკიძეები და სიძე აბესალომ ლომიძე მეფულე მარიამით მუშაობით აუწყებენ ნათესავთს და ნაცნობთ ტრადიკულ გარდაცვალებას საყვარელ

თალიკოსას

გამოსვენება 11 ქრისტეშობისთვის დღის 10 საათზე (ვარდოსკის ქუჩა № 4) ქვეშეთის ეკლესიაში, დაკრძალვა იმავე დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე.

პარასკევს, 13 ქრისტეშობისთვის, სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

დ. თბილისის მე-2 რაიონის წევრთა

საზოგადო კრება

დღის წესრიგია: 1) რაიონის კომიტეტის მოხსენება. 2) გერონტი ქიქოძის მოხსენება: „საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო“. დასწრება შეუძლიან მხოლოდ პარტიის წევრებს. დასაწყისი საღამოს 6 ს. 2—1

სახელმწიფო თაბარი

საოპერო დასი ველახოვისა

ოთხშაბათს, 11 ქრისტეშობისთვის საბანკეის, შორიშოვის, ზალიპის და ნიკოლეს მონაწილეობით:

ჰოფმანის ზღაპრები

დადგმა ორდღის.

ფასები შესაჩინებლად დაწესდა. დასაწყისი ხად. 7 ნახ. საათზე. ხუთშაბათს, 19 ქრისტეშობისთვის, სახალხო გვარდიის დღეს „ჯამაზები“, საბანკეის და ორდღის მონაწილეობით: „რიგაშვიტა“ და „ხალეტი“. შაბათს, 14 ქრისტეშობისთვის ბ. ა. ზალიპის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის ასანიშნავად „პიკის ქალი“. კვირას, 15 ქრისტეშობისთვის შულგინას, შვამბერჯის, იანსას, კანჭინის, პოლიაეის მონაწილეობით „ნერონი“.

თორმეტ კრისტეშობისთვის არის სახალხო გვარდიის დღე

ქართულ ტანსაცმელსა ზოგადოების კრება

შესდგება დღეს, 11 ქრისტეშობისთვის, საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩა № 11. განსახილველია: გამგეობის მოხსენება წლიური სამოქმედო პროგრამის შესახებ. 1—1938—1

ქართული დრამატული საზოგადოების დრამატული სტუდია

ქ-ნი: ანჯაფარიძე ვ. გამრეკელი ბ. გურგენიძე ვ. ერისთავი ა. ნადირაძე თ. ნინოიძე ქ. ქიქოძე ა. ჭიჭიანი ალ. წერეთელი ნ. წერეთელი ნან. ლოლობერიძე თ. ცხვილიანი ვ. ვაჭანი: აბაშიძე ალექსიშვილი ა. ბერეჟიანი ს.

სტუდიის ახალი შემადგენლობა ამ დღეებში განაგრძობს საცად წარმოდგენების მართვას არტისტულ საზოგადოების თეატრში. პირველად წარმოდგენილი იქნება: „ბურჯინა“, „ვითა ფოთლები“, „დალატი“, „ჩემდის დაღუპვა“ და სხვა...

აღმინისტრატორი მის. ნერსეულიძე

პარტიული „მწვალკელები“

ამ დღეებში მეტად საინტერესო კამათი სწარმოებს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დაარსების გამო. 5 ქრისტეშობისთვის თბილისის ს.-დ. ორგანიზაციების სსხდომებზე დაიწყო საკითხი ამ პარტიის მერვე ყრილობის დოკუმენტების განხილვის შესახებ, განსაკუთრებით იმ მუხლის რომლითაც დაკანონდა საქართველოს

ს.-დ. პარტიის დაარსება. როგორც ყრილობის დოკუმენტის პირველი მონაკვეთი, ისე ამ სხდომებზე ოპოზიციის აწარმოებს უცხო ელემენტურ პარტიისა, რუსების და სომხების. ისინი ამხადებენ პარტიის „რასკოლს“ და ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მოწვეული იყო თბილისის ორგანიზაციების კრება. რომელზედაც მოხსენება წაიკითხა ბ. ნოე ჟორდანიამ.

ჟორდანი თავის მოხსენებაში ამართლებდა ყრილობის დადგენილებას და ამტკიცებდა, რომ სხვანაირათ შეუძლებელი იყო საკითხის გადაწყვეტა, რომ შექმნილი პირობები მოითხოვდნ დაშოკიდებულ საქართველოს პარტიის დაარსებას, თან დასძენდა, რომ ეს ნაბიჯი სრულიადაც არ იქნებოდა მდებარე ორტოლოქს მარქსიზმს, რომ ასე სწავდებოდა ეს საკითხი სხვა სახელმწიფოშიც.

ჩვენთვის შეტად საინტერესოა ოპოზიციის ორტოლოქს პასუხი ამ მოხსენებაზე, ამ პასუხით ძალიან ბევრი ირკვევა; ნათელი ხდება, რა თავშეუკავებელი და სასტიკი მტრები ყავს საქართველოს ამ ხალხის სახით.

ჟორდანი ათილო, სომეხი არსაკ ზურაბიძე და ფორუმოვი, რუსი სმირნოვი და სხვები დაუშალავად და გულაბდილად ალაპარაკდნ საქართველოს წინააღმდეგ.

ბოლა პრესის წარმომადგენლებს და ჟურნალისტებს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წერას, მაგრამ ვის გაუღაშებია ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ისე ცინიკურად, როგორც ამ „ოპოზიციის“ ბატონებს.

და შინაგან საქმეთა მინისტრის ამ განცხადების შემდეგ შეუძლებელია პრემიერ-მინისტრი ასე ელაპარაკებოდეს ამ ხალხს და სიტყვებით არწმუნებდეს.

ეს მთავრობის ავტორიტეტის დაცემაა. აგრეთვე არ ვიცით ვის ეხება გენერალ-გუბერნატორის დადგენილება მინე და უსაქმო ხალხის თბილისიდან გადასახლების შესახებ. ჩვენ ვიცით, რამდენ ბატონებს არაფერი საქმე არ აქვთ, გარდა საქართველოს წინააღმდეგ ლეარძლის თესვისა და აჯანყების მოწყობისა.

ეს ბატონები, რომელთაც „ერთობა“ ლიტერატორებს არქმევს, და რომელთაც ნამდვილად ლიტერატორისთან არაფერი აქვთ საერთო, დალიან თბილისის მუშებში და აღიზიანებენ საქართველოს წინააღმდეგ.

„ერთობას“ ეს პარტიულ „მწვალკეობათ“ მიანიშნავს, მაგრამ ნამდვილათ აქ უფრო დიდი საფრთხეა, ვინემ პარტიული „მწვალკეობათ“.

თუ ს.-დემოკრატებს კიდევ შეუძლიათ „მწვალკეობათ“ ამხანაგური ლაპარაკი, მთავრობას, რომელიც საქართველოს სუვერენობას უნდა იცავდეს, შეჭერის სასტიკი ზომები მიიღოს ამ ხალხის წინააღმდეგ, რომ ერთხელ და სამუდამოთ აღიკვეთოს მათი ბუნე საქმე და დენიკინის დარუსების სხვა რეაქციონერების აგენტები ასე თავისუფლათ არ გრძნობდნ თავს საქართველოში.

მათ მშვენიერათ შეუძლიათ დაბრუნდნ თავიანთ საწმომლოში, რუსეთში და არარატში და იქ იცავდნ ორტოლოქს მარქსიზმს, ამ ნიღაბის ქვეშ კი პროვოკატორობას საქართველო ვერ მოითმენს...

საქართველო გარშემორტყმულია მტრებისაგან. ყოველი დღე ახალი ძალის დარაზნებას ცხადყოფს ჩვენს წინააღმდეგ.

უკუბანის მხარეიდან დენიკინის ჯარის დურბინდები საქართველოსკენ აქვს მოცემული, ჩვენს რესპუბლიკას თავის ასაპრეზად ისახავს.

ჩრდილოეთ-კავკასიისკენ რუსი ბოლშევიკები თანდათან აძლიერებენ თავის რაზმებს და ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყუეთ, რომ დარიალის კარებთან მძლურ დახვედრათ კომუნისტების არმიის შემოტევით.

სომხეთი ხომ ქრთულ ყაჩაღებით, რა დღეს დაინახავს ჩვენს შესუსტებას, მაინც მზად არიან თავს დაეცესან.

და საქმათა დროული მოღონება ჩვენი დამცველი ძალების, რომ ყველამ, ვისაც დარიალის გლარუნე არ ეზარება, საქართველოზედ ამართოს იგი.

ესეთი მომენტში ათას წილად გვაბრთებს ჟურნალისტის გამახვილება და ძალთა გაერთიანება.

ესეთი მომენტი ითხოვს გაალმსებულ კეჭრას ყოველი კუთხისაკენ, რომ თავდაცვისთვის მზად ვიყოთ ყოველ წამს.

მთავრობას ათასი თვალი უნდა ჰქონდეს და ამხედ მეტი ყური... ამის ნაცვლად სრული გულციობა სჩანს იმისადმი, რაც ჩვენს გარშემო ხდება:

ყველაფერ იმას, რასაც ჩვენი მოწინააღმდეგენი ამირებენ და მათს სამეფოს.

ზაღის, ჩვენი მთავრობა იგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი წადილი ნათეს იღებს კიდევ და ჩვენც მხოლოდ ამ მოქმედებათა შედეგებთან გვაქვს საქმე.

სამისო აგენტურა, ურომლისოდ ვერც ერთს სახელმწიფოს ვერსად ვერ უმოქმედნი, ჩვენი მთავრობისათვის გაუგებარია. და მტერთა ბანაკებში მესაიდუმლეთა გაჩენა, სასასიტხვო რამ მოვლენია.

ოლონდაც ეს ხომ იგივე ჯაშუშობა გამოვიდა და სოციალისტური მთავრობისათვის აბა რა საკადრისი იქნებოდა!

სამაგიეროდ ჩვენს მტრებს ამის არა სცხვნიათ: თუ საქართველომ არაფერი იცის თუ რა ხდება მის გარედ, ჩვენს გარშემო ყველამ კარგათ იცის, თუ რა ხდება საქართველოში...

და აი რა ხდება: საქართველო ავსილია უცხოელ ჯაშუშებით და ჩვენი მტრების აგენტებით.

საქართველო ასაპრეზია დენიკინის არმიის მოღაწეთათვის და მოხალსეთა ჯარის ოფიცრები აქ თავისუფლად რაზმენ თანამოაზრეთ.

აქაურ რუსულ ორგანიზაციებს ორგანული კავშირი აქვთ დენიკინის ჯართან და მისი ინსტრუქციით მოქმედებენ.

კანდიტრება იქამდისც მიდის რომ კავშირი აშკარა არის და ეს დაწესებულებანი არც მალევე ამას.

მაშინ როდესაც რესპუბლიკის საგარეო სამინისტროს ამ მხარეებიდან მათი ბუნე საქმე და დენიკინის დარუსების სხვა რეაქციონერების აგენტები ასე თავისუფლათ არ გრძნობდნ თავს საქართველოში.

მათ მშვენიერათ შეუძლიათ დაბრუნდნ თავიანთ საწმომლოში, რუსეთში და არარატში და იქ იცავდნ ორტოლოქს მარქსიზმს, ამ ნიღაბის ქვეშ კი პროვოკატორობას საქართველო ვერ მოითმენს...

